

მანანა გელაშვილი
 მია ყიასაშვილი
 (საქართველო)

ჯოისის „ულისეს“ ქართული თარგმანი¹

ლიტერატურული ნაწარმოების თარგმანი, მით უფრო ისეთი გამორჩეული ნაწარმოების, როგორც ჯეიმზ ჯოისის „ულისეა“, ნებისმიერი ქვეყნის კულტურისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა, არა მხოლოდ იმით, რომ ახალ ავტორს, მის ნოვატორულ სამყაროსა და მხატვრულ ოსტატობას გვაცნობს და ამით თვალსაწიერს გვიფართოვებს, არამედ იმიტომაც, რომ თავად სამიზნე ენას ამდიდრებს, რადგან თარგმნისას ამ ენის თავისებურებები და შესაძლებლობები არანაკლებ ვლინდება, ვიდრე საკუთრივ ორგინალური შემოქმედების დროს.

ჯოისის „ულისე“, რომელსაც ნიკო ყიასაშვილმა მრავალი წელი შეალია, სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ სინამდვილეში. თუმცა მისი მიღება, აღქმა და შეფასება პირველი ეპიზოდების გამოქვეყნებიდან დღემდე საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო. ამ თვალსაზრისით ჯეიმზ ჯოისის მცირე ზომის ნაწარმოები „ჯაკომო ჯოისი“ (1969), რომელიც ნიკო ყიასაშვილმა „ულისეს“ თარგმანის დაბეჭდვამდე გამოქვეყნა, ბევრად უფრო ილბიანი აღმოჩნდა, რადგან მას ორი მაღალპროფესიონალური გამომხაურება მოჰყვა ირაკლი კენჭოშვილისა (კენჭოშვილი 1970) და ნელი საყვარელიძის (საყვარელიძე 1981) წერილების სახით. ირაკლი კენჭოშვილი ძალიან ზუსტად ახასიათებს როგორც ამ ნაწარმოების სტილურ თავისებურებებს, ასევე იმ სირთულეებს, რომელიც თარგმნის პროცესში გაჩნდებოდა და წერს: „ჩვენს წინაშეა ასოციაციათა მოზაიკით შექმნილი სურათი. [...] ჯოისი ყველაფერს ერთმანეთს უკავშირებს, აერთიანებს საპირისპირო საწყისებს, ერთად უყრის თავს, ხლართავს ერთმანეთში, ისევე როგორც ძველი რომაული ფრესკების ორნამენტებში, რომელთაც „გროტესკი“ უწოდეს.“

ნელი საყვარელიძის წერილშიც (საყვარელიძე 1981) ზედმინეწვითაა განხილული თარგმანი და სწორადაა აღნუსხული ჯოისის თარგმანის სირთულეები: „გამოხატვის უაღრესად კონდენსირებული, ძუნწი და ამავე დროს ძალზე ტევადი ფორმები, ნაწარმოების თავისებური კომპოზიციური აგებულება, სადაც ერთი შეხედვით უწესრიგოდ გაბნეულ ეპიზოდებს აერთიანებს ფარული, სტრიქონებს უკან მიმალული მომწესრიგებლის ხელი, მხატვრულ სახეთა მოულოდნელობა და თავზარდამცემი სითამამე, მეტყველების ნა-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გრანტი (№FR17_220) „ჯოისის თარგმნისა და კვლევის ისტორია საქართველოში“.

კადის ტემპის მუდმივი ცვალებადობა და მრავალი სხვა მომენტი. მთარგმნელს არანაკლებად ურთულებს საქმეს ნაწარმოებში უხვად მოხვეული ლიტერატურულ-ისტორიული, ბიბლიურ-მითოლოგიური ალუზიები და რემინისცენციები, რაც ასე ახასიათებს ჯოისის ინტელექტუალურ პროზას“ (საყვარელიძე 1981: 127).

ამ სტატიების ფონზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ულისე“, რომელიც თავისი არსით ბევრად უფრო მეტ მთარგმნელობით ოსტატობასა და თავდადებას მოითხოვდა და უფრო მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა იყო, ფაქტობრივად დღემდე შეუფასებელია. მხედველობაში გვაქვს დედნისა და თარგმანის შედარებითი ანალიზი და იმ კონკრეტული სირთულეების წარმოჩენა, რომელიც თარგმანისას გაჩნდებოდა და იმის შეფასება, თუ რამდენად წარმატებით მოხერხდა მათი გადალახვა.

პროფესიულმა კრიტიკამ პარადოქსული გულგრილობა გამოიჩინა ნაწილ-ნაწილ გამოცემული ეპიზოდების მიმართ („ულისეს“ პირველი ეპიზოდის პუბლიკაციიდან 1967 წლის 28 ივლისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და ჟურნალ „ხომლში“ ნაწილ-ნაწილ დაბეჭდილი ეპიზოდების ჩათვლით). პირველი რეცენზიები (ნულეისკირი 1977; ჯაფარიძე 1978), საკუთრივ თარგმანის ანალიზს კი არ წარმოადგენს, არამედ გამოქვეყნებული ეპიზოდების თანმდევი კომენტარით არის უკმაყოფილო. ჟურნალ „საუნჯეში“ 1980 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოებების განხილვას ეძღვნება ჯანსუღ დვინჯილიას წერილი, რომელშიც მოხსენებულია „ულისეს“ ეპიზოდებიც (დვინჯილია, 1981), სადაც აღნიშნულია, რომ: „ყოველი კულტურული ერი ცდილობს თავის ენაზე ჰქონდეს ეს თავისებური შედეგრი.“ თუმცა, თავად თარგმანის რაიმე სახის შეფასება და ანალიზი, თუნდაც წერილის ფორმატიდან გამომდინარე, ბუნებრივია ამ წერილში არ არის გაკეთებული.

პერიოდიკაში დაბეჭდილი „ულისეს“ პირველი ათი ეპიზოდი წიგნად დაისტამბა 1983 წელს, ნიკო ყიასაშვილის ვრცელი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (რედაქტორი გია ჭუმბურიძე, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი). ყდაზე მთარგმნელის შერჩეული დავით კაკაბაძის 1921 წელს შექმნილი აბსტრაქტული კომპოზიცია განთავსდა, რითიც ნიკო ყიასაშვილმა მკაფიოდ გამოსახა თავისი სათქმელი: ქართული ლიტერატურა და კულტურა, როგორც ევროპულის განუყოფელი ნაწილი, ისეთივე თამამი ექსპერიმენტირების, ნოვატორობის, ახლის ძიებისათვის იყო ღია გასული საუკუნის 20-იან წლებში.

წიგნად დასტამბვასაც პრაქტიკულად შეფასება არ მოჰყოლია. ერთადერთი სტატია, რომელიც იმ დროისთვის გამოქვეყნებული ეპიზოდების ყველაზე სიღრმისეულ ანალიზს წარმოადგენს წელი საყვარელიძეს (საყვარელიძე 1984) ეკუთვნის. მართალია, წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ მისი მიზანი არაა თარგმანის რეცენზირება, მაგრამ სინამდვილეში მან პასუხი გასცა ყველა იმ „პრეტენზიას“, რაც კი იქამდე ხმამაღლა ან დაფარულად გამოითქვა „ულისეს“ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით. მაგალითად,

ავტორის აზრით, არ იქნება მართებული თარგმანის „ენის სკრუპულოზური ანალიზი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან მიმართებაში. ეს თავიდანვე მცდარი პოზიცია იქნებოდა, რადგან ენობრივი „კუროზები“, რაც შესაძლოა პირველივე გვერდებზე მოგხვდეს თვალში, არ შეიძლება შეფასდეს როგორც ვისიმე დაუდევარი დამოკიდებულება ენობრივ ფენომენტთან.“ წერილში მრავალი მაგალითია განხილული – სტილისტური, ლექსიკური, ფონეტიკური და აზრობრივი თვალსაზრისით, აღნიშნულია, რომ მთარგმნელი მექანიკურად არ იმეორებს ჯოისის ენობრივ ექსპერიმენტს, რომ „იგი დროდადრო თვითონაც ხდება ამ ექსპერიმენტის მონაწილე“, რომ „მთარგმნელი ძალზე გაბედული ინიციატორია“.

„ულისეს“ ქართული თარგმანის შესახებ უცხოურ პრესაშიც არსებობს ცნობები (Toll 1984–2004), მაგრამ საკუთრივ თარგმანის ავკარგიანობაზე არაფერი თქმულა იმ მარტივი მიზეზით, რომ უცხოელი კრიტიკოსი ვერ შეაფასებდა მას ქართულის არცოდნის გამო.

ნელი საყვარელიძის წერილის შემდეგ წინამდებარე სტატია პირველი მცდელობაა „ულისეს“ ქართული თარგმანის ანალიზის. ამგვარი ანალიზის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ 80-იანი წლების შემდეგ, ანუ „ულისეს“ პირველი 10 ეპიზოდის გამოქვეყნებიდან, რომელიც ნელი საყვარელიძის წერილშია გაანალიზებული, ბევრი რამ შეიცვალა. კერძოდ 2012 წელს დაისტამბა „ულისეს“ სრული შესწორებული ვარიანტი, რომელიც წიგნის ბოლო ეპიზოდებს შეიცავს, რომელიც ჯოისოლოგების საყოველთაო აზრით, კიდევ უფრო რთული ინტერტექსტუალობით ხასიათდება და ამდენად კიდევ უფრო ძნელად ექვემდებარება, როგორც ინტერპრეტაციას, ასევე თარგმანს.

ერთი წერილის ფორმატში შეუძლებელია „ულისეს“ თარგმნის ყველა ასპექტი იყოს გაანალიზებული, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს მომენტებზე შეგვეჩერებინა ყურადღება, შემდგომ კი მეორე ნაწილიდან ერთ-ერთი ეპიზოდის „მზის ხარების“ დაწვრილებითი ტექსტუალური ანალიზი წარმოგვედგინა.

ცნობილია, რომ „ულისეს“ ანალიზისა და თარგმნის ერთ-ერთ სირთულეს მისი მრავალნიშნადობა, მრავალპლანიანობა წარმოადგენს, რომელიც უპირატესად იმ ლიტერატურულ-მითოლოგიური ალუზია-რემინისცენციებით იქმნება, რომელიც ასე უხვადაა წარმოდგენილი ნაწარმოებში. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი პლასტი შექსპირული ალუზიებია. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი თანამედროვე ოდისეაა და ჰომეროსის „ოდისეას“ იყენებს, როგორც მაორგანიზებელ, სტრუქტურულ ელემენტს, ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში შექსპირი, როგორც ინტერტექსტი, არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამიტომ თარგმანის ერთ-ერთ ღირსებად ან ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, თუ რამდენად ახერხებს სხვა ენაზე გადატანილი ჯოისის ტექსტი ამ ინტერტექსტუალობის შენარჩუნებას.

ამ თვალსაზრისით, ქართულ ენაზე თარგმნილ „ულისეს“ ძალიან გაუმართლა, რადგან იქამდე ვიდრე ჯოისის კვლევასა და თარგმნას დაინყებდა, ნიკო ყიასაშვილი უკვე შექსპირის შემოქმედების აღიარებული მკვლევარი იყო, რომლის წინასიტყვაობითა და საერთო რედაქციით გამოიცა შექსპირის თხზულებათა სრული კრებული, მანვე დაუდო სათავე „ქართული შექსპირიანას“ გამოცემას და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა შექსპირის კაბინეტი. ამდენად, შექსპირის ტექსტი (ორივე ენაზე – დედნისა და თარგმანის) ნიკო ყიასაშვილს ერთნაირად საფუძვლიანად ქონდა შესწავლილი, რაც ძალიან კარგად ჩანს „ულისეს“ თარგმანში.

შექსპირული ალუზიებისა და ციტატების თარგმნისას მთარგმნელი მეტწილად ცდილობს უკვე ტრადიციად ქცეული ქართული თარგმანები გამოიყენოს (ივანე მაჩაბელი, ვახტანგ ჭელიძე, რეზო თაბუკაშვილი და სხვ.). ეს განსაკუთრებით მაჩაბლის მიერ თარგმნილ „ჰამლეტს“ ეხება, რადგან „ჰამლეტი“ ის პიესაა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება „ულისეში“, როგორც ერთ-ერთი თემა, რომელზეც სტივენ დედლოსი არაერთხელ საუბრობს (მათ შორის ყველაზე ვრცლად ბიბლიოთეკის ეპიზოდში), ასევე ალუზია-რემინისცენციების სახით. თარგმანის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ბევრ ფრაზას ქართველი მკითხველი ყოველგვარი კომენტარის გარეშეც ამოიცნობს. მაგ:

მერყევი სული, რომელიც უმხედრდება მოზღვავებულ უბედურებას.
(ჯოისი 2012: 178)

ის ყველაფერში კაცი იყო... კაცსა კაცობა (ჯოისი 2012: 208).

გაუმარგლავი ბალი (ჯოისი 2012: 97).

იმ შემთხვევებში, როდესაც თარგმანმა ვერ შეინარჩუნა ორიგინალის რომელიმე ელემენტი, ნიკო ყიასაშვილი თავად თარგმნის, მაგრამ აუცილებლად აღნიშნავს შენიშვნაში, თუ რა დაიკარგა თარგმანში და რატომ ვერ მოხერხდა ამ შემთხვევაში უკვე არსებული თარგმანის გამოყენება. ასეთია, მაგალითად ციტატა „ჰამლეტიდან“: „ალმაცერად გამოხედავს ჩემ ჰამლეტურ ქუდს“ (ჯოისი 2012: 49) – ოფელიას სიმღერიდან. მაჩაბლის თარგმანში „ქუდი“ არ მოიხსენება; „რიდესავით ჩამოფარებული ქუთუთოების ქვემოდან“ (ჯოისი 2012: 71) – გარდა ელფრიდ ტენისონის ლექსის ალუზიისა, ეს მხატვრული სახე „ჰამლეტში“ გვხვდება, მაგრამ არ არის ივ. მაჩაბლის თარგმანში; ჯოისის კიდევ ერთი ალუზია ჰამლეტზე: „უკანასკნელად ის ხალი გაქრება“ (ჯოისი 2012: 189). მაჩაბლის მიერ თარგმნილია – „ხშირად მოხდება ცხოვრებაში, რომ რამე ნაკლი, თუნდაც იყოს იგი დაბადებით თანდაყოლილი...“ (ჰამლეტი: I, 4) – სადაც სიტყვა „ხალი“ დაკარგულია; ასევე „ქართულ თარგმანში ზუსტად არ არის გადმოტანილი დედნისეული „შეგინებული“

(“mobled queen”, II, 2), რომელიც ქართულად თარგმნილია, როგორც „მკერდ-გაღელი დედოფალი“. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ალუზიების თარგმნა ნიკო ყიასაშვილს თავად უწევს.

ცალკე უნდა აღინიშნოს, ზოგიერთი ფრაზა, რომელიც მაჩაბელთან არ არის ზუსტი თარგმანით, მაგრამ უკვე მყარად არის გამჯდარი ქართველი მკითხველის ცნობიერებაში. როგორც მაგ. „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ“ (თუმც შექსპირს აქვს *Frailty, thy name is woman!* (ჰამლეტ: I, 2). ჯოისი ორჯერ მიმართავს ამ ალუზიას. რომელიც ჰამლეტის რეპლიკის პარაფრაზია: “*Frailty, thy name is Sceptre*” (Joyce 2002: 267) და “*Frailty, thy name is marriage*” (Joyce 2002: 445); მკითხველისთვის შექსპირული ალუზიის შესანარჩუნებლად ნიკო ყიასაშვილი პირველ შემთხვევაში იყენებს მაჩაბლის თარგმანს: „არარაობავ, სკიპტრა უნდა გერქვას შენ“ (ჯოისი 2012: 322), ხოლო, მეორე შემთხვევაში კი თავად თარგმნის: „უსუსურობავ, ქორწინება უნდა გერქვას შენ“ (ჯოისი 2012: 502), თუმც, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც პირველი მეთოდი უფრო გამართლებული იქნებოდა. (გასაკვირია ისიც, რომ შენიშვნებში ამ ალუზიის წარმომავლობა მითითებული არ არის, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ „ულისეს“ ალუზიები ამოუწურავია, ქართულ ენაზე წარმოდგენილი ტექსტის კომენტარები უკიდურესი სიზუსტითა და პროფესიონალიზმით ხასიათდება).

„ულისეს“ ქართული თარგმანი შეძლებისდაგვარად ინარჩუნებს არამარტო ჯოისის იდიოსინკრატულ გრამატიკასა და სინტაქსს, არამედ ცდილობს ორიგინალის სრულიად უჩვეულო პუნქტუაცია უცვლელად დატოვოს. საქმე ისაა, რომ ინგლისურ ენაში სასვენი ნიშნები განსხვავებულად იხმარება, განსაკუთრებით მძიმე, რომელსაც გაცილებით იშვიათად ვხვდებით ვიდრე ქართულში. და მაინც, ჯოისი უფრო რადიკალურ გზას ირჩევს – პრაქტიკულად არ ხმარობს ბრჭყალებს, რაც ართულებს პერსონაჟის მეტყველების გამორჩევას საკუთრივ თხრობისაგან, სრულიად უგულვებლყოფს სასვენ ნიშნებს მოლი ბლუმის მონოლოგში (მე-18 ეპიზოდი, რომელიც რვა მონაკვეთისგან შედგება და მხოლოდ პარაგრაფებადაა დაყოფილი, ნერტილისა და მძიმის ან სხვა სასვენი ნიშნის გარეშე), რაც კიდევ უფრო ართულებს ნარატივს. ჯოისი ძალზე იშვიათად მიმართავს ტრადიციულ წესებს, როდესაც საქმე ეხება მძიმეს და პერსონაჟის ტექსტის მარკერებს.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ტექსტი სრულიად უკითხავი ხდება ქართულ თარგმანში, მთარგმნელი ზოგიერთ დათმობაზე წავიდა და ოდნავ მეტი მძიმე იხმარა. თუმც არის პრინციპული მომენტები, მაგალითად მოლი ბლუმის მონოლოგი, ან ცალკე ხაზზე დასმული ნერტილი მე-17 ეპიზოდის ბოლოს, რითაც მინიშნებულია, რომ „საკუთრივ თხრობა“ დასრულდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სიტყვათქმნადობა, რომლის მრავალი მაგალითიდან სანიშნოდ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ:

აბრეშუმცვარიანი საქონელი (ჯოისი 2012: 15) – dewsilky cattle (Joyce 2002: 25)
ზღვასმიცქვეტილი ყურები (ჯოისი 2012: 47) – seawardpointed ears (Joyce 2002:93)
წვენდამძიმებული გველმცენარეები, რძემწოლვარე ნაყოფები (ჯოისი 2012: 51)
–gumheavy serpentplants, milkoozing fruits (Joyce 2002:99)
დაუქნია გაიღიმა დაამთქნარა (ჯოისი 2012: 171) – smiledyawnednodded (Joyce
2002: 377)
კასრიტონი (ჯოისი 2012: 148) – barreltone (Joyce 2002: 323)
მეტემფსიქოზობენ (ჯოისი 2012: 63) – ზმნად ხმარების შემთხვევა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთარგმნელი ხშირად იჩენდა სითამამეს იმ ეფექტის მისაღწევად, რასაც ორიგინალი ისახავდა მიზნად. მაგალითად: „Whether these be sins or virtues old Nobodaddy will tell us at doomsday leet“ (Joyce 2002: 441) – „ცოდვაა ეს თუ სათნოება, ბებერი ამოჩვენო გვეტყვის საშინელ სამსჯავროზე“ (ჯოისი 2012 201). უილიამ ბლეიკის ამ ციტირებაში გამოყენებული სიტყვა დაახლოვებით „არავისმამიკოს“ ნიშნავს, მაგრამ მთარგმნელმა ახალი სიტყვა მიუსადაგა, რომელიც „მამაო ჩვენოსა“ და ცხოვრების ამაოების ნარევს წარმოადგენს.

მთარგმნელი ორჯერ „დაესესხა“ გალაკტიონს, როდესაც მისი ციტატები ორიგინალს მოარგო, ორივე მე-7 ეპიზოდში. პირველში ჯოისის ორი პალინდრომია, რომელთა თარგმანი აზრს დაკარგავდა და პალინდრომად არ ივარგებდა: „Madam, I’m Adam. And Able was I ere I saw Elba“ (Joyce 2002: 285) – „აერების სიბერეა“ (ჯოისი 2012: 132), რაც სავარაუდოდ კარგად ერწყმის რედაქციის ეპიზოდის წამყვან ელემენტს – ქარს და ჰაერს. გალაკტიონის მეორე პნკარი ამავე ეპიზოდის ერთ-ერთ ქვესათაურადაა ნახმარი: „გარდასულ დღეთა მოსაგონარად“ (ჯოისი 2012: 134) – „Links with bygone days of yore“ (Joyce 2002: 291).

ახლა კი ერთ-ერთ ეპიზოდზე შევჩერდებით, რათა უფრო დანვრილებით გავანალიზოთ ის სირთულეები, რომელსაც ნიკო ყიასაშვილი შეხვდა „ულისეს“ თარგმნისას, ისევე, თუ როგორი ოსტატობით ართმევს იგი თავს ამ თავსატეხებს. ამ თვალსაზრისით „ულისეს“ მეთოთხმეტე ეპიზოდი – „მზის ხარები“ ძალზე საინტერესო მასალას ძლევს. ამ ეპიზოდის სირთულე, უპირველეს ყოვლისა, მის სტილურ მრავალფეროვნებასა და ალუზიათა სიუხვეში მდგომარეობს. ცნობილია, რომ ჯოისი ამ ეპიზოდში მიზნად ისახავს ინგლისური სალიტერატურო ენისა და სხვადასხვა სტილის ისტორიის ერთ თავში მოქცევას და მის პაროდირებას. ამიტომ ეპიზოდი მოიცავს ინგლისური ლიტერატურის ისტორიას, რომელიც ჯოისმა პირობითად ცხრა ეტაპად წარმოადგინა, ადამიანის ჩასახვიდან მშობიარობამდე არსებული ცხრა თვის ანალოგიით. ეპიზოდის მოქმედების ადგილი – სამშობიარო, სადაც რომანის ორი მთავარი გმირი ლეოპოლდ ბლუმი და სტივენ დედალოსი ერთმანეთს ხვდება, ასევე ხაზს უსვამს ჯოისის ჩანაფიქრს, რომ ამ ეპიზოდში ჯოისი დიდ ენობრივ ექსპერიმენტს ახორციელებს, რომლის მიზანი ინგლისური

ლიტერატურის ევოლუციის პარადიული წარმოჩენაა. „მზის ხარების“ პირველი მონაკვეთი ლათინური ქრონიკების, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისა და ანგლო-საქსური რიტმულ-ალიტერაციული პროზის პაროდირებით იწყება (ინგლისური სალიტერატურო ენის დაბადება); შემდეგ კი – სარაინდო რომანის, ელიზაბეთის ხანის ქრონიკების, მილტონის, დეფოს, სვიფტის, უაილდის და სხვათა გავლით ჯოისის თანამედროვე ინგლისურის პაროდირებით მთავრდება.

ცნობილია, რომ „ულისეში“ ჯოისი დაუნდობლად დასცინის რელიგიურ, ეთნიკურ, პოლიტიკურ კლიშეებს, „მზის ხარების“ ეპიზოდში მისი ირონიის სამიზნე ლიტერატურული, ენობრივი და სტილისტური კლიშეებია. ენა და ლიტერატურული მემკვიდრეობა მწერლისთვის ერთსა და იმავე დროს იარაღიცაა, რომელსაც იგი ეყრდნობა და მიზანიც. ხოლო ნებისმიერ დიდ მწერალს აუცილებლად გარკვეული სიახლე მოაქვს ამ ტრადიციამში.

ფრენკ ბაჯენისადმი მიწერილ წერილში (1920 წლის 20 მარტი) ჯოისი ასე აყალიბებს ამ ეპიზოდის დანიშნულებას: „მზის ხარებზე“ ვმუშაობ... ტექნიკა: ცხრანაწილიანი ეპიზოდი დაყოფის გარეშე, რომელშიც სალუციუსი და ტაციტუსი პრელუდიაა... შემდეგ ადრეული ინგლისური ალიტერაციული ერთმარცვლიანი ანგლო-საქსური... და ასე შემდეგ, დეფო-სვიფტის, სტილადისონ-სტერნისა და ლანდორ-პეიტერ-ნიუმენის გავლით სანამ ბოლოს და ბოლოს პიჯინ ინგლისურის, ზანგების ინგლისურის, კოკნის, ირლანდიურის, უხამსი სლენგისა და უხეირო კუპლეტების შემადრწუნებელ ნარევთან მივალთ (ჯოისი 2012: 139-40).

მიუხედავად იმისა, რომ ჯოისის წერილის მიხედვით, ეპიზოდი ცხრანაწილისაგან შედგება, ჯოისის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იგი მთლად სარწმუნო არ არის და რომ ეპიზოდში გაცილებით მეტი ავტორის ტექსტია ციტირებული, ვიდრე ჯოისი ჩამოთვლის. დონ გიფორდმა ამ ეპიზოდში ოცდაცამეტი სხვადასხვა ავტორისა და სტილის იდენტიფიცირება მოახერხა (Gifford 1974). ამგვარი კვლევები, რომელიც ძალიან საინტერესოდ წარმოაჩინეს, როგორც ტექსტის მრავალშრიანობას, ისე ავტორის შემოქმედებითი მეთოდის კომპლექსურობას, ამავე დროს არათუ ეხმარება მთარგმნელს, არამედ ხშირად უფრო მეტად ართულებს მის ისედაც რთულ ამოცანას, რადგან მასში ავტორის მთავარი მიზანი იკარგება.

„ულისეს“ ქართველმა მთარგმნელმა ნიკო ყიასაშვილმა გადაწყვიტა ჯოისის თავდაპირველ ჩანაფიქრს მიჰყოლოდა (ყიასაშვილი 2012: 830) და ჯოისის მცდელობა ინგლისური პროზაული სტილის ევოლუცია დასაბამიდან ჯოისის ხანამდე ქართულ ენობრივ და კულტურულ სინამდვილეში გადმოეტანა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მთარგმნელი ჯოისის დარად ასახელებს ავტორებს, რომლებსაც თავისი ეპოქისა და გარკვეული სტილის წარმომადგენლებად მიიჩნევს, აშკარაა, რომ არც ჯოისი და არც ნიკო ყიასაშვილი არ ხედავდნენ ამ ეპიზოდს როგორც კონკრეტული ავტორების პაროდირებაზე აგებულს. როგორც ჯოისის შემოქმედების

ცნობილმა მკვლევარმა ფრიც ზენმა შენიშნა: რეალური და ადექვატური ექვივალენტები იმ სტილებისა, რომელთა მონაცვლეობაც წარმოქმნის „მზის ხარებს“ არ არსებობს. კიდევ უფრო ნაკლებად მისაღებია ცნობილი და გამოკვეთილი სტილის ავტორების პაროდირება... თარგმანი ვარაუდის/შესაძლებლობის ხელოვნებაა (Senn 1970: 281).

ნიკო ყიასაშვილიც თარგმანს ვარაუდის/შესაძლებლობის ხელოვნებად მიიჩნევდა, რომელიც ისეთივე თამამი აზრობრივი და ენობრივი განაცხადი უნდა ყოფილიყო, როგორც ორგინალი და რომელიც არა მხოლოდ ახალ და მნიშვნელოვან ტექსტს გააცნობდა ქართულ კულტურას, არამედ ამასთანავე ქართული ენის ახალ შესაძლებლობებსაც ახლებურად გამოავლენდა.

„მზის ხარების“ პირველი სტილური მონაკვეთი ნაყოფიერების ქალღმერთისადმი მიძღვნილი ლათინური საგალობლით იხსნება: „Dashil Holles Eamus. Deshil Holles Eamus. Deshil Holles Eamus“, რომელსაც მზის ღვთაებისადმი (ჰორნისადმი) აღვლენილი ლოცვა მოჰყვება და ბებიაქალის საზეიმო განცხადებით მთავრდება: „ბიჭია, ბიჭი!“

ამ მონაკვეთის გადმოსაცემად ნიკო ყიასაშვილმა ქართულ ჰიმნოგრაფიას მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში შეუძლებელია ავცდეთ სემანტიკური ველის შევიწროვებას და შესაძლო ასოციაციების დაკარგვას (მაგ. ჰორნი, რომელიც ამ სამშობიაროს ერთერთი ექიმა, ინგლისურად რქას ნიშნავს და ამით შეიცავს მინიშნებას ხარსა და მამაკაცურ ძლიერებაზე, რომლის სხვა ენაზე გადატანა შეუძლებელია), მაგრამ საგალობლის სტილი, რომელსაც მსუბუქი ირონია აქვს შერეული, მშვენივრად არის შენარჩუნებული ალიტერაციითა და ამალღებული სტილით, რომელიც ვლინდება სინტაქსსა და ლექსიკაში.

გარდმოგვივლინე, სხივმოსილო, ნათელსახოვანო, ჰორნჰორნ, ძალი უმოსწრაფესი შობირებისა და ნაშობი. გარდმოგვივლინე, სხივმოსილო, ნათელსახოვანო, ჰორნჰორნ, ძალი უმოსწრაფესი შობირებისა და ნაშობი. გარდმოგვივლინე, სხივმოსილო, ნათელსახოვანო, ჰორნჰორნ, ძალი უმოსწრაფესი შობირებისა და ნაშობი. ჰოპლა, ბიჭია, ბიჭი! ჰოპლა, ბიჭია, ბიჭი! ჰოპლა, ბიჭია, ბიჭი! (ჯოისი 2012: 379).

ელფრიკის პერიოდის ანგლო-საქსური ალიტერაციული პროზა („Before born babe bliss had. Within womb won he worship“), რომელიც უპირატესად ერთმარცვლიან სიტყვებს შეიცავს, შეუძლებელია ამ ფორმით გადმოვიდეს ქართულ ენაზე, რადგან ქართული მეტნილად 2-3 მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგება. მაგრამ ძველ ქართულ ტექსტებზე სტილიზირებითა და ალიტერაციის გამოყენებით მთარგმნელი საინტერესო ესთეტურ ექვივალენტს წარმოქმნის.

შვილი ჯერეთ არ შობილა და საშოშივე შეუუნდება შუება.

(ჯოისი 2012: 380)

შუა საუკუნეების ლათინიზირებული ტექსტი მთარგმნელს ქართულად ახალი აღთქმისა და ფსალმუნის ენით გადმოაქვს, რაც სწორი გადანყვეტილებაა, რადგან ბიბლიის თარგმნამ ისეთივე გავლენა მოახდინა ქართული სალიტერატურო ენის ფორმირებაზე, როგორც ლათინურმა იქონია ინგლისურზე.

Some man that wayfaring was stood by housedoor at night's oncoming. Of Israel's folk was that man that on earth wandering far had fared. Stark ruth of man his errand that him lone led till that house (Joyce 2002: 315).

კაცი ვიეთიმე მთარგმნელი მოსულიყო და დამდგარიყო კართან მიმწუხრის ჟამს. ისრაელიტელთა ტომის იყო კაცი იგი რომელ ეხეტიალა ქუეყანასა ზედა და მოელწია შორეულ ალაგს. და ამა კაცმა რომელიცა გარნა მხოლო ადამიანური თანაღმობისა გამო იარა მარტოდ, მიაღწია სახლსა მას (ჯოისი 2012: 380).

მე-17 საუკუნის ჟურნალისტური სტილის, რომელიც ინგლისში ჯოზეფ ადისონისა და რიჩარდ სტილის მოღვაწეობას უკავშირდება, ქართულ ენაზე გადმოტანისას ნიკო ყიასაშვილი გარკვეული პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა. იგივე პერიოდის ქართულ სინამდვილეში ჟურნალისტიკა ჯერ არ არსებობდა. ამ შემთხვევაშიც მისი გადაწყვეტილება ესთეტიური ექვივალენტის შექმნას ემსახურება და არა ქრონოლოგიის დაცვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული ენისა და კულტურის წიაღში მოიძებნოს იგივე ფენომენი. ამიტომ ამ მონაკვეთის თარგმნისას მთარგმნელმა მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების სტილი გამოიყენა, რადგან პერიოდიკის არნახული განვითარება სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა. მე-17 საუკუნის ინგლისის დარად, სადაც „დიდებული რევილუციის“ შემდეგ უკიდურესად პოლიტიზირებული გარემო შეიქმნა, რამაც ხელი შეუწყო პერიოდიკის განვითარებას, ქართული სინამდვილეც საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ მძაფრი პოლიტიკური პერიპეტივებით ხასიათდება. საქართველომ არა მხოლოდ დამოუკიდებლობა დაკარგა, არამედ ენის დაკარგვის საფრთხის წინაშეც აღმოჩნდა, რადგან ქვეყნის სახელმწიფო ენა რუსული გახდა და განათლება სკოლაში, ხოლო სახელმწიფო დანესებულებებში საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ დროს ქართული ენის გადარჩენისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაება პერიოდიკა და თეატრი. თუმცა რუსიფიკაციის შედეგად ენაში საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოვიდა ბარბარიზმები, განსაკუთრებით ლეგალურ და საჯარო სამსახურის სფეროში. ამიტომ ამ მონაკვეთის თარგმნისას ნიკო ყიასაშვილი ამგვარ ბარბარიზმებს მიმართავს, რაც კარგად გამოხატავს გარკვეული ეპოქის მეტყველებას (მაგ.: სასამართლოს ისპალნიტელი, სტოლნაჩალნიკი).

ქვემოთ წარმოდგენილი აბზაცი კარგ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს, თუ როგორ ახდენს მთარგმნელი ამ ეპოქის სტილის აღდგენას:

Our worthy acquaintance, Mr Malachi Mulligan, now appeared in the doorway as the students were finishing their apologue accompanied with a friend whom he had just rencountered, a young gentleman, his name Alec Bannon, who had late come to town, it being his intention to buy a colour or a cornetcy in the fencibles and list for the wars (Joyce 2001: 328).

ჩვენი ღირსეული ნაცნობი, ბატონი მალაქია მალიგანი კარის ზღურბლზედ გამოჩნდა, როცა სტუდენტები თავის აპოლოგიას ამთავრებდნენ, მეგობართან ერთად, რომელსაც ის-ის არის შეჰხვდა. ახალგაზრდა კაცი, სახელი მისი ერიკ ბენსონი, გვიან სალამოს ჩამოვიდა ქალაქში, რაიმე სამხედრო ჩინი რომ ეყიდა, იქნებ პრაპორშეიკისა ან კორნეტისა ლაშქარში და სადმე ბრძოლაშიც მიეღო მონაწილეობა (ჯოისი 2012: 397).

საფიქრებელია, რომ გარკვეული მონაკვეთები შედარებით ადვილი სათარგმნი იქნებოდა. ერთ-ერთი ამგვარი მონაკვეთი ნოსტალგიურ-რომანტიული სტილით გადმოცემული ბლუმის მოგონებები, რომელშიც ბლუმი თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს იხსენებს: („სახლიდან სკოლისკენ მიისწრაფვის“... და ა.შ. (ჯოისი 2012: 409). ამ შემთხვევაში თარგმნის შედარებითი სიადვილე თავად ქართული ლიტერატურის ისტორიიდან გამომდინარეობს, რომელიც რომანტიკული პროზის თარგმნისა და პაროდირებისათვის ნოყიერ ნიადაგს იძლევა.

უკვე ვახსენე, რომ თარგმანის წარმატება მნიშვნელოვნად არის განპირობებული არა მხოლოდ მთარგმნელის ლინგვისტურ ალლოზე და ნიჭიერებაზე, არამედ მისი მშობლიური ენისა და ლიტერატურის სტანდარტსა და განვითარებაზე. თუ მთარგმნელს ხელთ არ ექნებოდა გრძელი და უწყვეტი ლიტერატურული ტრადიცია, ამ ეპიზოდის და ზოგადად „ულისეს“ თარგმნა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამ ტრადიციიდან გამომდინარე სხვადასხვა სტილის პაროდირება სხვადასხვა დონის სირთულეს წარმოქმნიდა. სტუდენტობის წლებში, როდესაც ნიკო ყიასაშვილი თარგმანზე მუშაობდა, არაერთხელ მსმენია, რომ მისთვის გაცილებით უფრო ადვილი იყო რომანტიკულ ან რეალისტურ სტილში გამართული მონაკვეთების თარგმნა, ვიდრე ამ ეპიზოდის ბოლო 150 ხაზის, სადაც ჯოისი მისი თანამედროვე ინგლისურის პაროდირებას ახდენს, რომელიც სლენგითა და პიჯინით არის გაჯერებული და ფრაგმენტულ ლოგიკურად დაუკავშირებელ ფრაზებს შეიცავს.

მთარგმნელი ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა ტიპის სირთულის წინაშე აღმოჩნდება. პირველი ამათგან თავად ფრაგმენტებად დაშლილი ტექსტის გააზრებაა, რომელშიც ჯოისი ისეთ ლინგვისტურ ექსპერიმენტირებას იწყებს, რომელიც მთელი სისრულით მის ბოლო ნაწარმოებში „ღამისთევა ფინეგანისთვის“ გამოჩნდება. ეს პრობლემა ნებისმიერი მკვლევარისა და მთარგმნელისთვის, რომელიც „ულისეს“ ამ ეპიზოდს შეეჭიდება, ერთნაირად დიდ ძალისხმევას მოითხოვს. თუმც არსებობს კიდევ სხვა სირთულეც, რომლის პირისპირაც ნიკო ყიასაშვილი აღმოჩნდა და რომელიც სპეციფიურია, რადგან ქართული ლიტერატურის ისტორიით არის

განპირობებული. ქართული ლიტერატურული ტრადიცია ნოყიერ ნიადაგს იძლევა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურიდან მოყოლებული განმანათლებლობის, რომანტიზმის, რეალიზმისა და ესთეტიზმის სახით, მაგრამ გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც „ულისე“ ითარგმნებოდა ქართული პროზა, რომელიც სლენგსა და ქუჩურ მეტყველებას გამოიყენებდა, უბრალოდ არ არსებობდა. საბჭოთა სინამდვილესა და სოციალისტურ რეალიზმს ლიტერატურაში ამგვარი ლექსიკა სრულიად მიუღებლად მიაჩნდა. ამიტომ მთარგმნელი ამ მხრივაც პიონერი იყო, რადგან მას წილად ხვდა თარგმანის საშუალებით მხატვრულ ლიტერატურაში შემოეშვა ლექსიკა, რომელიც არსებობდა, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში გზა მოჭრილი ქონდა. ეს კი საკმაოდ ძნელი და შეიძლება ითქვას, საჭოჭმანო საქმე იყო. რადგან ქართული ენის პურისტებიცა და ზოგადად კულტურული ტენდენცია ძნელად იღებდა და იღებს ყველანაირ სიახლეს, მით უფრო ენობრივს, რადგან ქართული ენა, ეროვნულ იდენტობასთან ასოცირდება, რომელიც ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის საფრთხის ქვეშ იყო და არის.

ქვემოთ განხილული მაგალითები იმისა, თუ როგორ ითარგმნა ქართულად „მზის ხარების“ ბოლო ნაწილი, გვარწმუნებს, რომ მთარგმნელმა მოახერხა ტექსტთან ახლოსაც ყოფილიყო და ამავე დროს ჯოისის ენობრივი ექსპერიმენტი ქართულ ენობრივ სამყაროში მოექცია.

ერთ-ერთი ამგვარი პასაჟი, რომელიც ზედმეტად გაპრანჭული და ლათინიზმებით დახუნძლული ამაღლებული სტილის, სლენგისა და ჯოისის მიერ წარმოებული სიტყვების ნაზავს წარმოადგენს, სავარაუდოდ შემთვრალი ბაკ მალიგანის ოხუნჯობაა და ტექსტის იროიულ-ჰაროდიულ ფექტს სწორედ ეს შეუთავსებელ სტილთა ერთიანობა წარმოქმნის:

You move a motion? Steve boy, you're going it some. More bluggy drunkables? Will immensely splendiferous stander permit one stooder of most extreme poverty and one largesize grandacious thirst to terminate one expensive inaugurated libation? (Joyce 2002: 341).

ქართულ ენაზე დედნის სტილისტიკა ზუსტად არის გადმოტანილი და გაბუქული პათეტიკა და სლენგი ერთმანეთს ენაცვლება. „ულისეს“ ტიპის ნაწარმოების თარგმნისას ყოველ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალს, რომელიც თითქოს ადვილი სათარგმნი ჩანს, ადვილად შეუძლია სირთულე შეუქმნას მთარგმნელს. ხშირად სწორედ ამ დეტალებში უკეთ ჩანს მთარგმნელის ოსტატობა და ლიტერატურული და ენობრივი ინტუიცია, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს თარგმანის ხარისხს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზემოთ ციტირებულ აბზაცში ნახსენები 'Steve boy' კარგი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ყოველი წვრილმანი, რათა თარგმნის დროს ტექსტის სტილი არ დაირღვეს. ტექსტში 'Steve boy'-თ სტივენ დედნის მიმართავენ და მიმართვა მონონება-აღტაცებას გამოხატავს, რაც სტივენის წინადადებაში გამოიწვია შეზარხოშებულ სტუდენტებში. ქართუ-

ლად 'boy', რომ 'ბიჭია' და 'ბიჭოს' რომ იხმარება მონონება-გაოცების გამო-სახატავდ, ყველამ იცის და თითქოს რაღა დიდი ფიქრია საჭირო იმაზე, თუ როგორ ითარგმნოს. მაგრამ ნიკო ყიასაშვილმა იგი სლენგით 'ჯიგარი ხარ' ჩანაცვლა და ამით კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატა მონაკვეთის სტილის-ტიკა. მთლიანობაში ამ მონაკვეთმა ასეთი სახე მიიღო:

წინადადება შემოგაქვს? ჯიგარი ხარ სტივ, დარჩა რამე დასალევი? უაღრესად უდიდებულესი დიდსულოვნად ხომ არ გაიმეტებდა უკიდურეს გასაჭირში და უზარმაზარ დილიხორში მყოფისათვის ერთ ძვირად ღირებულ საზეიმო ხახის გასაგრილებელს? (ჯოისი 2012: 424).

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ სლენგის ხმარებისას ნიკო ყიასაშვილი ეძიებდა იმ სიტყვებს, რომელსაც ენაში არსებობის დიდი ხნის ისტორია ქონდა. მახსოვს, ამბობდა, რომ ბევრი სიტყვა, რომელიც თარგმანში აღმოჩნდა, ბებია და მისი ტოლებსაგან სმენოდა (მაგ. აფახულა, ჯიგარი ხარ, ფარა, მიჭყავის, დილიხორი, ვირის აბანო, იუზგარი).

კიდევ ერთ მაგალითს მოვიტანთ, რომელშიც ზე-ანეულ/ამაღლებული სტილი და რელიგიური რემინისცენციები სლენგსა და მდაბიო მეტყველებას ერწყმის ჯოისის პაროდულ ლინგვისტურ კარნავალში, სადაც ჯოისის ჟონგლირება სიტყვებით, სიტყვათქმნადობა, ენობრივი თამაში იმგვარ მხატვრულ ქსოვილს წარმოქმნის, რომლის თარგმნა სხვა ენაზე ძნელი წარმოსადგენია. ეს მონაკვეთი ინგლისურად ასე უღერს:

Elijah is coming washed in the Blood of the Lamb. Come on, you winefizzling ginsizzling booseguzzling existences! Come on, you dog-gone, bullnecked, beetlebrowed, hogjowled, peanutbrained, weaseleyed four flushers, false alarms and excess baggage! (Joyce 2002: 349).

ამ მონაკვეთის პირველი წინადადების თარგმნა ძნელი არ არის, რადგან რელიგიური რემინისცენციებითაა გაჯერებული პომპეზური სტილის პაროდირება ადვილად გადმოსატანია ქართულ ენაზე. მაგრამ შემდგომი წინადადებების თარგმნა, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის ჰეროიკული პათეტიკის პაროდირება და სლენგი, გაცილებით უფრო რთულია. და რაც მთავარია ძალიან ძნელია ითარგმნოს სიტყვები, რომელთა დიდი ნაწილი თავად ჯოისის მიერ შედგენილი კომპოზიტებია. ამ დროს ქართველი მთარგმნელი ჯოისის სიტყვებით ექსპერიმენტირების თანამონაწილე და, არ შეგვეშინდება ამის თქმა, მეტოქეც კი ხდება თავის ენაზე:

ელია მოდის კრავის სისხლში განბანილი. მოდით, ყოველნო ღვინომწრუპავნო, ჯინმწყურვალნო, შარაფმყურწავნო ქმნილებანო! მოდით, თქვენ, ძაღლისშვილებო, ხარკისრიანებო, ხოჭოშუბლიანებო, ღორდინგაიანებო, ბატიტვიანებო, ეშმათვალაიანებო თაღლითებო, ენაჭარტალებო და დანარჩენო ნაგავო (ჯოისი 2012: 425).

ფრიც ზენმა შენიშნა, რომ თარგმანი როგორც წესი ჯოისის ტექსტის პოტენციალს აკნინებს, რადგან თარგმანი ნაკლებ შემოქმედებითი, ნაკლებ გაბედული და უფრო ლოგიკურია და ამდენად იმ შემოქმედებით თამაშში ვერ აყვება ავტორს ისეთივე აზარტითა და ნიჭიერებით, როგორითაც ეს ორიგინალურ ტექსტში ხორციელდება (Senn 1970: 279). რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება მთლიანობაში სწორია და „ულისეს“ თარგმანი, თუნდაც სა-უკეთესო, ნაკლებად გაბედული და ექსპერიმენტულია, ვიდრე დედანი, თუმცა ქართული „ულისეს“ ცალკეული ადგილები, მათ შორის ზემოთ ციტირებული ფრაგმენტი, თავისი ენობრივი ვირტუოზობით და ენის შესაძლებლობების ზღვარის გაფართოვების უნარით ტოლს არ უდებს ორიგინალს.

თარგმანის მიმღები კულტურასა და ენაზე მორგების მცდელობა, ზოგადად, მართებულ სტრატეგიად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა მისი ზომიერად გამოყენება, როდესაც იგი შესაფერ მხატვრულ ეფექტს აღწევს, ნამდვილად მისასალმებელია. მაგ. „მზის ხარებში“ ნახსენები მელოდრამატული ირლანდიული ოპერის სათაური, რომელსაც შემთვრალი სტუდენტები წაუშლერებენ, ქართველ მკითხველს არაფერს ეუბნება. თუნდაც კომენტარში ახსნილი იყოს საიდან მოდის ეს ფრაზა და რატომ გაახსენდათ მაინცდამაინც ეს ფრაზა ნაწარმოების გმირებს, მკითხველისათვის ტექსტში მისი ემოციური და ესთეტიური ფუნქცია დაკარგულია. ხოლო როდესაც მისი ჩანაცვლება ხდება ფრაზით პოპულარული ქართული სიმღერიდან „ახ ტურფავ, ტურფავ“, ეს ყოველგვარი კომენტარის გარეშეც გამოხატავს რა განწყობაზე არიან მისი მომღერლები.

ასევე რთული პრობლემის გადაწყვეტა უწევს მთარგმნელს, როდესაც საქმე ენის გასატყეხვს, უცხო სიტყვებს და ე.წ. პორტმანტო/კომბინირებულ სიტყვებს შეეხება. უმეტეს შემთხვევაში „ულისეს“ ქართულად მთარგმნელის ინტუიცია საინტერესო ექვივალენტებს პოულობს, რომელიც ქართულ ტექსტში ორიგინალის მაგვარ ეფექტს წარმოქმნის. ერთ-ერთი ამგვარი თავსატეხი ენისგასატეხია – ‘The Leith police dismisseth us’, – რომელსაც ჯოისის განმარტებით, პოლიციის სერჟანტი ნასვამ სტუდენტებს სთხოვს, რომ გაიმეორონ, რათა შეამოწმოს ფხიზლები არიან თუ არა და პასუხად, რალა თქმა უნდა დამახინჯებულ ფრაზას მიიღებენ (Kohn 1967). ქართულ „ულისეში“ იგი ცნობილი ქართული ენისგასატეხით არის ჩანაცვლებული, ჯერ სწორი, შემდეგ კი – დამახინჯებული ფორმით („ერთსა კაცსა ბლისკინელსა. ლინბლისკელსა“).

უცხო სიტყვები (გერმანულიდან, ფრანგულიდან, ესპანურიდან და ა.შ.), რომლებიც უხვად გვხვდება მთელ „ულისეში“ და განსაკუთრებით ამ ეპიზოდის ფინალში (მაგ.: ‘Urbemensch’, ‘Caramba’, ‘Les petites femmes’) ტექსტში უთარგმნელად არის დატოვებული და თარგმანი სქოლიოებშია ჩამოტანილი, რაც ჯოისის ტექსტს მრავალენოვანებას უნარჩუნებს, როგორც ეს თავად ავტორს ქონდა ჩაფიქრებული.

რაც შეეხება პორტმანტო სიტყვებს, (როგორცაც Christicles – Christ+testicles; Underconstumble –understand + stumble) – მათი უცხო ენაზე თარგმნა შეუძლებელია, ამიტომ ნიკო ყიასაშვილი მათ ძალიან ეფექტურად ანაცვლებს ქართული ფრაზით, რომელიც დედნის აზრობრივ და ემოციურ დატვირთვის შეესაბამება. (Christicles – იესოს ყვერებს ვფიცავ; Underconstumble – აზრზე მოდიხარ?).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც ამ ეპიზოდის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით, იმ მონაკვეთს შეეხება, სადაც ოსკარ უაილდის დიდი მასწავლებლის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, ესეისტის, კრიტიკოსის და ესთეტიკის უოლტერ პეიტერის (1839-1894) სტილის პაროდირებაა წარმოდგენილი („The stranger still regarded...“).

„მზის ხარების“ თარგმნისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიკო ყიასაშვილის სტრატეგიაა არა კონკრეტული ავტორის სტილის პაროდირება, არამედ დროის, ეპოქის სულის გადმოცემა. ამიტომ, როდესაც იგი ჰაგიოგრაფიული ტექსტებისათვის დამახასიათებელ სტილს იყენებს, ეს არც კონკრეტულად იაკობ ცურტაველია და არც იოანე საბანისძე ან გიორგი მერჩულე, თუმცა ხან ერთის ტექსტთან მსგავსება მოგვხვდება თვალში, ხან – მეორესთან. ზუსტად იგივე სტრატეგიაა გამოყენებული ნებისმიერი სხვა ეპოქისთვის დამახასიათებელი სტილის შესაქმნელად. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნიკო ყიასაშვილი თავადვე მიუთითებს კომენტარში, რომ უოლტერ პეიტერის მონაკვეთში იგი ერეკლე ტატიშვილის სტილს ეყრდნობა.

ერეკლე ტატიშვილი (1984-1946) საერთაშორისო სამართლის და დიპლომატიის ისტორიის სპეციალისტი, პოლიგლოტი, ერუდიტი, ფილოსოფოსი, ესეისტი და მთავმწერი იყო, უნივერსიტეტში ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი (დიდ შალვა ნუცუბუძესთან ერთად) და უცხო ენების კათედრის პირველი გამგე. მის სახელთანაა დაკავშირებული ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ თარგმნა, რომელიც მთარგმნელს დაპატიმრებად დაუჯდა, რადგან საბჭოთა იდეოლოგია ნიცშეანელობას ფაშიზმთან აიგივებდა. სწორედ ერეკლე ტატიშვილისაგან გაიგონა სტუდენტობის წლებში ჯოისისა და „ულისეს“ სახელი ნიკო ყიასაშვილმა. თარგმანში მისი სტილის გამოყენება პატივის მიგება და მაღლიერების გამოხატვაა თავისი დიდი მასწავლებლის მიმართ და იმის დადასტურება, რომ მიუხედავად ნაწერთა მცირერიცხოვნობისა, ერეკლე ტატიშვილის გამოკვეთილი ხელწერა გარკვეული ეტაპია ქართულ სულიერ კულტურაში. თუმცა, ამასთანავე სხვა რამეც იმსახურებს ყურადღებას: ნიკო ყიასაშვილი ამ მონაკვეთში ერეკლე ტატიშვილის ერთ-ერთი თარგმანის, კერძოდ ედგარ პოს იგავის „სიჩუმე“ სტილის პაროდირებას ახდენს. ეს თარგმანი ნიკო ყიასაშვილს ძალიან უყვარდა, სტუდენტებს გვიკითხავდა, როცა ოსკარ უაილდს გავდიოდით და ასეთ კომენტარს აკეთებდა, რომ ეს პროზა უკვე ოსკარ უაილდს გამოვლილი პროზააო.

„მზის ხარების“ ეპიზოდში თარგმანის სტილის გამოყენებას ბუნებრივად მივყავართ იმ კითხვამდე, თუ რა როლს ასრულებს თარგმანი ენისა და სტილის განვითარებაში, ახდენს თუ არა იგი გავლენას ლიტერატურულ პროცესზე. ქართულ სინამდვილეში დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სულ მცირე ორი ასეთი თარგმანი არსებობს, რომელმაც ქართულ სალიტერატურო ენაზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. ესენია ბიბლია და ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირი. თუმცა, როგორი არგუმენტები ან კონტრარგუმენტებიც შეიძლება გაჩნდეს ამ საკითხთან მიმართებაში, ნიკო ყიასაშვილმა მკაფიოდ განაცხადა თავისი პოზიცია, რომ თარგმანი ისეთივე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენის, სტილის და ლიტერატურის განვითარებაში, როგორც ორიგინალური მწერლობა.

იგივე მოსაზრება გამოსჭვივის ემილი ტოლთან ინტერვიუში (Toll 1990), კითხვაზე, თუ რა მოიგანა მისცა მისმა თარგმანმა ქართულ პროზას, ნიკო ყიასაშვილი პასუხობს, რომ მას არ სურდა თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი დაეთმო საქმისთვის, რომელიც მხოლოდ თარგმანი იქნებოდა. იგი ფიქრობდა, რომ თარგმანი გავლენას მოახდენდა ქართულ ლიტერატურაზე და ისიც დასძინა, რომ უკვე ამჩნევდა ამ გავლენას ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში, სადაც თავი იჩინა შინაგანი მონოლოგის ტექნიკისა და ზოგადად ახალი ფორმების ძიების ტენდენციამ.

მართლაც, „ულისეს“ თარგმნი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. „ულისეს“ თარგმნით, საჯარო ლექციებით ჯოისზე და მოდერნიზმის ესთეტიკაზე ნიკო ყიასაშვილმა ქართულ სივრცეში შემოიყვანა ავტორი, რომლის ნოვატორული ესთეტიკა რადიკალურად განსხვავდებოდა მიღებული და მოძველებული სალიტერატურო ნორმებისა და წერის მანერისაგან. უფრო მეტიც, „ულისეს“ თარგმანმა არა მხოლოდ ახალი და საინტერესო ავტორი გააცნო ქართველ მკითხველს, არამედ თავად ქართული ენის შესაძლებლობები ახალი კუთხით წარმოაჩინა, რადგან ტექსტის თარგმნისას მთარგმნელი ავტორს მიჰყვება და თამამად შემოაქვს სიტყვათქმნადობა, სიტყვებით თამაში, სლენგი, ჟარგონი. „ულისეს“ თარგმნით ქართულ ენაზე პირველად გამოჩნდა ცნობიერების ნაკადის ტექნიკა, სხვადასხვა სტილთა აღრევა და ირონიულ-პაროდული კარნავალიზაცია, რამაც ახალი ჰორიზონტი გახსნა ახალგაზრდა მწერლებისათვის.

დამონმებანი:

Cohn, Alan M. *Joyce's Notes on the End of 'Oxen of the Sun*. JJQ 4, no. 3 (Translation Issue, spring 1967), 194-201.

Gifford, Don, *Notes for Joyce: An Annotation of James Joyce's Ulysses* (New York: 1974).

Ghvinjilia Jansugh. "Saunje" – 1980 Ts'eli. *Lit'erat'uruli Sakartvelo*, 5 Ivnisi, 1981 (ღვინჯილია, ჯანსუღ. „საუნჯე“ – 1980 წელი. *ლიტერატურული საქართველო*, 5 ივნისი, 1981).

Joyce, James. *Ulysses*. Ed by Hans Walter Gabler with Wolfhard Steppe and Claus Melchior. Afterword by Michael Groden, (London: The Bodley Head, 2002).

- Joisi, Jeimz. *Ulise*. Mtargmneli Nik'oi Q'iasashvili. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba, 2012 (ჯოისი, ჯეიმზ. *ულისე*. მთარგმნელი ნიკო ყიასაშვილი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012).
- K'ench'osvili, Irak'li. "Jak'omo Joisi" da Pikrebi Grot'esk'ul Realizmze. *Literaturuli Sakartvelo*, 1970, 14 Agvist'oi (კენჭოშვილი, ირაკლი. „ჯაკომო ჯოისი“ და ფიქრები გროტესკულ რეალიზმზე“. *ლიტერატურული საქართველო*, 1970, 14 აგვისტო).
- Saq'varelidze, Neli. "Jak'omo Joisi K'artulad". *Zhurnali . K'ritika*, 4, 1981, gv.125-138 (საყვარელიძე, ნელი. „ჯაკომო ჯოისი“ ქართულად“. *კრიტიკა*. 4, 1981, გვ. 125-138).
- Saq'varelidze, Neli. "Ulise Kartulad". *Lit'eraturuli Sakartvelo*, 27 ap'rili, 1984 (საყვარელიძე, ნელი. „ულისე“ ქართულად“, *ლიტერატურული საქართველო*, 27 აპრილი, 1984).
- Senn, Fritz. "Ulysses in Translation". *Approaches to Ulysses: Ten Essays*. edited by Thomas F. Staley, Bernard Benstock (The University of Pittsburgh press, 1970).
- Shakespeare, William. *The Complete Works*. Oxford: Clarendon Press, 1988.
- Sheksp'iri, Uiliam. *Tkhzulebata Sruli K'rebuli*. Tbilisi: gamomtsemloba "khelovneba", 1982-87 (შექსპირი, უილიამ. *თხზულებათა სრული კრებული*. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1983-87).
- Tall, Emily. *The Joyce Centenary in the Soviet Union: Making the Way for Ulysses*, *James Joyce Quarterly*, vol. 21, N. 2, winter 1984 (p. 107-122);
- Tall, Emily. *Ulysses Returns to Russia: Background and First Reactions*, *Irish Slavonic Studies*, 1984.
- Tall, Emily. *Interview with Nico Kiasashvili*, *Georgian Translator of Ulysses*, *James Joyce Quarterly*, vol. 3, spring 1990; 479-487.
- Tall, Emily. *The Reception of James Joyce in Russia*, in *The Reception of James Joyce in Europe*, vol. 1, Theommes Continuum, Lnd. – N.Y., 2004.
- Ts'uleisk'iri, Nodar. "Metkhutmete Sauk'undroindeli Andaza". *Mnatobi*, 8, 1977, gv.168-172 (წულეისკირი, ნოდარ. „მეთხუთმეტე საუკუნისდროინდელი ანდაზა“, *მნათობი*, 8, 1977, გვ. 168-172).

Manana Gelashvili
Maya Kiasashvili
(Georgia)

Joyce's *Ulysses* in Georgian¹

Summary

Key words: Ulysses, Joyce, translation, Kiasashvili.

The aim of the present article is to analyse the linguistic and stylistic issues that Nico Kiasashvili, the translator of James Joyce's *Ulysses*, had to deal with. One of the major difficulties is to render the allusions which serve as an intertext of *Ulysses*. Besides using Homer's *Odysseus* as a structural and organizing element, Joyce's text abounds in various

¹This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) grant 'James Joyce Translations and Studies in Georgia' (№FR17_220).

literary, mythological and biblical allusions among which allusions to Shakespeare's works are of utter importance. Thus to translate a multi-layered text like *Ulysses* it is not enough to have a good knowledge of the source and target languages. It also requires the knowledge of numerous studies on the text, as well as a broad knowledge of English (and not only English) literature and Irish culture and history.

When Kiasashvili started his work on *Ulysses* he was already an established scholar of English Literature and particularly of Shakespeare, had edited Shakespeare's Works in Georgian and written extensively on Shakespeare, so was well familiar with Shakespeare's texts both in the language of the original as well as its translations into Georgian. This background is apparent in the successful handling of the problem. The present article gives several examples how these allusions are translated into Georgian: in most cases the translator uses already existing translations (which can be easily identified by a Georgian reader because of their popularity) or if the existing translation differs from the original text Nico Kiasashvili translates the text himself and explains in the notes what was lost in the established translations of Shakespeare.

Another, most obvious, and possibly the most straightforward problem is an extremely scarce use of traditional punctuation, especially speech markers, not to mention Molly Bloom's final monologue that is completely devoid of any punctuation. The seemingly formal organization of such prose is practically unimaginable in Georgian, which uses more punctuation marks, especially commas than English. With very few exceptions, the translator followed Joyce's choice ignoring the norms of the Georgian language.

Apart from other things, Joyce experiments with words, coining new ones, joining two or three words, turning composite nouns or even phrases into verbs, e.g.: dew silky, seawardpointed ears, gumheavy serpentplants, milkoozing fruits, smileyawnednodded, etc. In these cases, the translator was lucky because he could use the ability of the target language to create composites which are characterized with the freshness of the original text thus achieving the desired effect.

The same applies to Joyce's syntax, such as: 'Eglintoneyes, quick with pleasure, looked up shybrightly. Gladly glancing, a merry puritan, through twisted eglantine.' Having maintained the first composite, the translator treated the second phrase more freely, making a pun of the proper name. Often body parts seem to have a life of their own, e.g.: 'His hand turned the page over', 'His lips lipped and mouthed fleshless lips of air', or 'His eyes sought answer from the river' – in all these cases, the Georgian translation maintains the same structure.

Although each episode presents its own unique difficulty to a translator and a reader, *Oxen of the Sun*, the fourteenth episode of *Ulysses* is acknowledged as one of the most complicated parts of the book. Its difficulty lies mostly in the abundance of various styles and allusions characteristic to this episode. In *Oxen of the Sun* Joyce attempts to explore the history of the development of the English language and literary style by parodying it. This evolution is represented by nine sections which correspond to the period

of nine months from conception to birth. The setting of the episode, a maternity hospital, where the two protagonists Stephen Dedalus and Leopold Bloom meet, also emphasizes Joyce's concept of the episode: to express the development of the language from its birth to his present time.

Needless to say that the success of the translation depends not only on the subtlety and skills of the translator but also on the literary standard of the receptive language, its resources and ability to express a variety of styles and how it can handle the wordplay, alliterations, cultural overtones, allusions, linguistic games and many more. No wonder that any translator of *Ulysses* finds this episode particularly difficult, as it is impossible to imitate a parody of the evolution of the English literary style in another language, even when the source and the target languages belong to the same language family or branch and the literatures created in these languages have more or less similar cultural and historical backgrounds. The difficulty increases when it comes to rendering *Oxen of the Sun* into a completely new cultural realm, namely in Georgian whose historical timeline differs greatly from the trends apparent in most West European literatures. So that when rendering a particular style in English, say alliterative prose or Addison-Steel's journalistic style, it is impossible to use the Georgian language and style of the same century as that of the source language. The translator has to find an equivalent of the phenomenon according to the style and not to the dating which surely would have worked when translating into French or German where Enlightenment, Romanticism, etc. existed more or less in one and the same period and shared a lot of common features.

Nico Kiasashvili found an ingenious way to create an equivalent effect by parodying the evolution of the Georgian language and literary style beginning from the first hagiographic texts (the birth of Georgian Literature – 5th century) up to the language of the first half of the 20th century. By using parody on both lexical and syntactic levels, by creating new composites and using wordplay the translator creates a text which re-creates Joyce's experimental prose in a different language.

By translating *Ulysses*, as well as by writing about Joyce and modernism, by giving public lectures and readings, Nico Kiasashvili introduced the writer whose aesthetics was contrary to the accepted or prescribed norms and standards of literary language and style. Kiasashvili's translation expanded the boundaries of the Georgian language by following Joyce in creating new words, allowing into the text colloquialisms, slang, by exploring various styles, introducing interior monologue and stream-of-consciousness technique.